

## **"სტრასბურგის კლუბი"-ს შეხვედრები 2010-2011 წლები**

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსა, სააგენტოების ასოციაციისა და ქალაქ სტრასბურგის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, 2009 წელს ქალაქ ქუთაისში მიიღო ოფიციალური შეთავაზება ქალაქ სტრასბურგისაგან "სტრასბურგის კლუბი"-ს წევრობის თაობაზე. აღნიშნული კლუბი 2003 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს ევროპის კავშირის გაფართოების ხელშეწყობას ქალაქების დაახლოების და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. დღეისათვის ამ ქსელში 30-მდე ქალაქი გაწევრიანებული და ყოველწლიურად ქალაქი სტრასბურგი მასპინძლობს კლუბის წევრებს. განვლილმა შეხვედრებმა ნათლად აჩვენა რომ ქალაქებს მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტატუსისა, ძირითადად ერთნაირი სახის პრობლემები აწუხებთ და სწორედ ასეთი შეხვედრები იძლევა გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი საქმიანობების დაგეგმვის საშუალებას. "სტრასბურგის კლუბი"-ს წევრობა, ადს საქართველოს წევრობასთან ერთად, არის ძალიან კარგი საშუალება ქუთაისისა და სტრასბურგს შორის ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობის განვითარებისათვის.